საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის

ბრძანება №75

2025 წლის 17 სექტემბერი

ქ. თბილისი

დაზვერვის სააგენტოს მოსამსახურის უწყებრივი სამკერდე ნიშნით, მედალიონებითა და მედლებით დაჯილდოების წესის და აღნიშნული სამკერდე ნიშნის, მედალიონებისა და მედლების ნიმუშების დამტკიცების შესახებ

„დაზვერვის სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-18 პუნქტის, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №385 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – დაზვერვის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მოსამსახურის უწყებრივი სამკერდე ნიშნით, მედალიონებითა და მედლებით დაჯილდოების წესი და აღნიშნული სამკერდე ნიშნის, მედალიონებისა და მედლების ნიმუშები:

ა) მედალი „ღირსების ჯვარი“ (დანართი №1);

ბ) მედალი „მაღალი პროფესიონალიზმისათვის“ (დანართი №2);

გ) მედალიონი „დაზვერვის ვეტერანი“ (დანართი №3);

დ) მედალიონი „15 წელი დაზვერვის სააგენტოში“ (დანართი №4);

ე) მედალიონი „10 წელი დაზვერვის სააგენტოში“ (დანართი №5);

ვ) სამკერდე ნიშანი (დანართი №6).

2. დამტკიცდეს უწყებრივი მედლებისა და მედლების თამასების ტარების წესი (დანართი №7).

3. სააგენტოს მედლით, მედალიონით და სამკერდე ნიშნით დაჯილდოებაზე პირის წარდგენა ხდება სააგენტოს უფროსის მოადგილეების და/ან სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელების მიერ. წარდგინებაში აღინიშნება პირის კონკრეტული დამსახურება.

4. დაჯილდოებულ პირს ჯილდოსთან ერთად გადაეცემა დაჯილდოების ფურცელი.

5. დაუშვებელია მოქმედი დისციპლინური სახდელის მქონე მოსამსახურის წარდგენა სააგენტოს მედლის, მედალიონის და სამკერდე ნიშნის მისაღებად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სახელმწიფო
უსაფრთხოების სამსახურის უფროსი **მამუკა მდინარაძე**